№ 19
ორშაბათი, 7 მარტი

1877—1905

# ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 19
ორშაბათი, 7 მარტი

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. 50 კაპ., თვეში 1 მანეთი.
რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.
დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წვრილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთ თვის განმავლობაში.
ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверія“

ცალკე ნომერი 3 კაპ.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ., წლიური განცხადება—მორიგებით.
განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.
ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: პუშკინის ქუჩაზე, № 11, საკრედ. საზ.-ბის სახლში.

ტელეფონი № 922

ეროვნული ბიბლიოთეკა

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ივერია“

1905 წ. გამოდის ყოველ-დღე, ორშაბათობითაც.

წლის განმავლობაში რედაქცია დაურიგებს ხელის მომწერლებს

**პრემიად 12 წიგნს**

საერთო სათაურით: **„ივერიის ბიბლიოთეკა“**, რომელშიაც მოთავსებული იქნება: ბელეტრისტული და სამეცნიერო თხზულებანი და წერილები ქართველ და უცხო მწერალთა.

გაზეთში და საპრემიო წიგნებში იქნება მოთავსებული **სურათები** და **ილლუსტრაციები**.

**გაზეთის ფასი:** 1 მარტიდან წლის დამლევამდის 8 მან. რომლის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

**ცალკე ნომერი გაზეთისა ღირს 3 კაპ.**

რედაქცია იმყოფება პუშკინის ქუჩაზე, № 11, საკრედიტო საზოგადოების სახლში (მესამე სართულში).

**საფოსტო ადრესი:** Тифлисъ, Редакція газ. „Иверія“.

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**მ. უ ჩიქოვანი.**—9 საათიდან 10 საათამდე—თვალის შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

**მ. გ. ავეტისიანცი.** 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი**—დილის 11—12 საათ.—ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

**ქ. ი. გძელიშვილი**—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

**გ. ა. თარხანოვი**—1—1½ საათ.—შინაგანის და ბავშვებისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ექიმი ქალი **ა. ე. შჩერბინინა**—1½—2 საათ.—ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

საღამოობით:

**პ. ა. არდაზიანი**—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ბაქტერიოსკოპიულ გამოკვლევას, 5—7 საათ.

**ს. ტ. არვანიტაკი.** 11—1 ს.—უკეთებს მასსაჟს, (მსურველთ სახლში) და აუცრის ყვავილს, გამართავს საექიმო გიმნასტიკას, ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი **ქ. გძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра **Навасардіана.**
Тифлисъ, противъ памяти Воронцову. წლ.

ტფილისის ექიმები.

**ალექსი-მესხიშვილი,** სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5-დან საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

**გძელიშვილი კონსტანტინე**—ელისაბედის ქუჩა, სახლი № 13.

**კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

**ვ. ს. მუსხელაშვილი**—კროჩნისა და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათისა.

**ვაჩაძე სპირიდონ**—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

**დიასამიძე ალექსანდრე**—ლორის-მელიქოვისა და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18—იღებს ავადმყოფებს დილით—9—11 და საღამოთი 6—8-საათამდე.

**გაბაშვილი გრიგოლ**—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

**ბესარიონ პაპოვი**—ყელ-ყურისა და ცხვირის ავადმყოფობის ექიმი—1—2 საათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლი № 157.

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

**ვ. ი. ჯიჯინაძე.** კბილის—8—9 საათ.

**გ. გ. მაღალაშვილი.** შინაგანი. ოთხშაბ. 9—10 საათამდე და კვირაობით 9—11 საათ.

**ა. ი. ბალარჯიშვილი.**—ბავშვებისა 9½—10½ ს.

**ნ. ტ. მულინი.**—ყურისა, სასისა და ცხვ. 10—11.

**მ. დ. დამბაშიძე.**—შინაგ. სამშ., ხუთშ., პარასკ. და შაბათობით 11—12.

**ვ. მ. მანსვეტოვი.**—შინაგ. და ბავშვ. 12—1 ს.

**დ. ა. გედევანიშვილი.**—შინაგანი და ნერვებისა 12—1 ს.

**ექ. ქალი მ. კ. იოსელიანი.**—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

**ქ. ნ. დიასამიძე.** — ვენერიული და კანისა 12½—1½ საათ.

**ს. ს. ალექსი-მესხიშვილი.**—ხირურგია 1—2.

საღამოს:

**ს. ი. ვაჩაძე.**—შინაგ. 6—7 საათამდე.

ოპერაციების გაკეთება შეუძლიათ გარეშე ექიმ-ხირურგებსაც.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., საავადმყოფოს აქვს ოცი საწოლი. სამკურნალოში ოპერაციები მორიგებით, კრავატები დღეში ღირს 2-დან სამ მანათამდე. საზოგადო და ნომერი—5 მან.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი), სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

ტელეფონი № 274.

„წერა-კით. საზოგადოების“ კანცელარიაში
(სასახლის ქ., თავ.-აზნაურობის ქარვასლა)
იყიდება
რონინაშვილისეულის ფოტოგრაფიის ავეჯეულობა
დივანი, სავარძლები, სარკეები, ტრიუმო, კამოდი, სტოლები, სკამები და სხვ.
ნახვა შეიძლება დილის 10—2 ს. და საღამოს 5—8 ს.

## დეპეშები

(პეტერბურგის დეპ. სააგენტოს დეპეშები აღნიშნულია—პ. ს., რუსეთის სააგენტოსი რ. ს.)

5 მარტი.

**პეტერბურგი,** 5 მარტი. დღეს პეტერბურგის სამხედრო სასამართლოში სამი დღის გარჩევის შემდეგ დასრულდა საქმე 6 იანვარს ნათლისღების დროს გასროლილ ზარბაზნის შესახებ. უმოქმედობისათვის დაისაჯა კაპიტანი დავიდოვი, შტაბს-კაპიტანი კარცევი და პოდპორუჩიკი როტი მეორე; პირველ ორს ჩამოერთვა ზოგიერთი უფლება, მაგრამ ჩინები შერჩათ. დავიდოვი გამორიცხულ იქმნა სამხედრო სამსახურიდან წლინახევრით, კარცევი—ერთი წლით და ხუთი თვით, როტი მეორე ერთი წლით და ოთხი თვით. პოდ.-პორუჩიკი როტი პირველი უნდა ჩასვან ციხეში სამი თვის ვადით და მასვე უნდა ჩამოერთვას ზოგიერთი უფლება და უპირატესობა; ფეიერვერკერი განდსევი, კანონირი აპოლკოვი გაიგზავნა დისციპლინას ბატალიონში ორი წლის ვადით, ზოგიერთ უფლება-უპირატესობის ჩამორთმევით. პოდპოლკოვნიკი პოლოვცევი და ფეიერვერკერი ასტრიკევი გაამართლეს. საზღვარ გარეთის ბირჟებს სისუსტე ეტყობათ. რუსეთის ქაღალდების ფასმა ცოტაოდნად იკლო. ახალი სესხი ბერლინში—94 და ნახევარი, $4^0/_0$ რენტა პარიზში 87 და ნახევარი. ნავთის ფასი ბაქოში არ შეცვლილა, მაზუთი ღირს 16 კაპ.

დიდმარხვის პირველ კვირაში ცარსკოესელოს ალექსანდრეს ეკლესიაში ეზიარნენ ხელმწიფე იმპერატორი და იმპერატრიცები მარიამ თეოდორის ასული და ალექსანდრა თეოდორეს ასული და ხელმწიფის შვილები—დიდი მთავრინები ოლგა ნიკოლოზის ასული, ტატიანა ნიკოლოზის ასული, კსენია ალექსანდრეს ასული, ოლგა ალექსანდრეს ასული, დიდი მთავრები მიხეილ ალექსანდრეს ძე და ალექსანდრე მიხეილის ძე.—ახალ რკინის გზების კომისიამ განიხილა ახალ ლიანდაგის პროექტი ტაშკენტიდან—ვერნიზე, სემიპალატინსკზე—ბარნაულზე ციმბირის გზამდის. ხუთ სხვადასხვა ამხანაგობას სურს ამ გზის აშენება იკისროს, თუ მთავრობა ობლიგაციებზე შემოსავალს უზრუნველ ჰყოფს გარანტიებით.

ქ. ერევანში გამოცხადებულია გაძლიერებულ დაცვის წესები. (პ. ს.).

**ლიბავა,** 5 მარტი. წუხელის საღამოს 10 საათზე დიდ ქუჩაზე, პეტერბურგის სასტუმროს მახლობლად ექვსი ბოროტ განმზრახველი თავს დაეცა ორ პოლიციელს. ერთს ახადეს იარაღი, მეორე მძიმედ დასჭრეს და მიიმალნენ. სახეზე რიდე ჰქონდათ მიფარებული. ბოროტ-განმზრახველთა ვინაობა ვერ გაიგეს. (პ. ს.).

**ბერლინი,** 5 მარტი. გრაფი ნოზადოვსკი რეიხსტაგში ერთ სოციალდემოკრატ ორატორის საპასუხოდ იცავდა საკონტროლო სადგურების დაარსებას რუსეთიდან გადმომსვლელთათვის,—საპოლიციო და სასანიტარო მიზნები მოითხოვენ ამ ზომას. (პ. ს.).

**პეტერბურგი,** 5 მარტი. ახალი სესხი იყიდება 95 და სამი მერვედი, $4^0/_0$ რენტა—88 და ხუთი მერვედი. პირველი სესხა 390, მეორე სესხი—311, მესამე სესხი—971 (პ. ს.).

**ვენა.** გაუჩის გამოცხადებას დეპუტატთა პალატაში უყურებენ როგორც მთავრობის მომავალ პროგრამას. (რ. ს.).

**ლონდონი,** 4 მარტი. ინგლისის დედოფალი დღეს წავიდა სამეფო გემით პორტ-სმუტიდან ლისაბონს. მას თან ახლავს პრინცესა ვიქტორია, რომლის ჯანმთელობისთვისაც არის დაწყებული ეს მოგზაურობა (რ. ს.).

**სოფია.** ტყუილია „კორესპონდენტ ბიუროს“ დეპეშა სტამბოლიდან, ვითომც ბულგარიაში შემდგარიყოს რაზმები ოსმალეთის საზღვარზე გადასასვლელად (რ. ს.).

**ვენა,** 5 მარტი. ვენა-კრაკოვის რკინის გზის სადგურ შტადინგზე საქონლის მატარებელი დაეჯახა სამოგზაურო მატარებელს,—დასახიჩრდა 37 ადამიანი, უმეტესად რუსის ემიგრანტები (რ. ს.).

**მოსკოვი,** 5 მარტი. საგუბერნიო საერობო კრებაში აღძრეს საკითხი იმის შესახებ, რომ იქმნეს გადადებული ფული პეტერბურგში დაზარალებულ პირთა და მათ ოჯახების დასახმარებლად. ავადმყოფების მომვლელები, მეკარეები და სხვა დაბალი მოსამსახურეები საქალაქო საავადმყოფოებში ითხოვენ ჯამაგირზე $30^0/_0$ მომატებას, ბავშვების აღსაზრდელად დახმარების მიღებას, თავისუფალ დროს და სასანიტარო პირობების გაუმჯობესებას. მოსკოვ-ბრესტის რკინის გზის გამგეობის კერძო კრებაზე გადაწყვიტეს მოუმატონ ჯამაგირი $25_0/^0$, შტატში ჩარიცხონ ყველა შტატს გარეშე მყოფი პირებიც და ჯამაგირი მოუმატონ ვადის შემდეგ დროის მუშაობისთვის (რ. ს.).

**მინსკი.** სამაზრო საერობო გამგეობა ადგილობრივ გაზეთის „სევერო-ზაპადნი კრაი“ საშუალებით მიჰმართავს საზოგადოებას და სთხოვს ყველას, აღმოუჩინონ დახმარება და გაუგზავნონ ჯარში გაწვეულ პირთა ოჯახების ნამდვილი ქონებრივი გაჭირვება (რ. ს.).

**უსტ-მედვედიცა.** უსტ მედვედიცის ოლქში გამოცხადებულია ყაზახთა არა სთადარიგო პოლკების მეორე რიგის მობილიზაცია (რ. ს.).

**ოდესსა.** გემზე „ჩიხაჩოვი“ ჩამოვიდა აქ პორტ-არტურელი აფიცერი (რ. ს.).

**მოსკოვი.** სამედიცინო საზოგადოების კრებაზე განაცხადეს, რომ რამდენიმე პირს უნდა შეეტანოს საგუბერნიო საერობო კრებაში ადრესი, რომელშიაც არის გამოთქმული თხოვნა, რომ ერობამ აღმაღლოს ხმა ქალების უფლებათა დასაცველად, რომ აწინდელ სახელმწიფო რეფორმების დროს გაათანასწორონ მათი და მამაკაცების საპოლიტიკო და სამოქალაქო უფლება (რ. ს.).

**კიევი,** 5 მარტი. ხოლერის საწინააღმდეგოდ არსდება სასანიტარო სამზრუნველო (პ. ს.).

**მიტავა,** 5 მარტი. ფაბრიკებში წესიერი მუშაობაა. დღეს დაიწყებს მოქმედებას კომისია, რომელმაც უნდა განიხილოს მუშათა მოთხოვნილებანი სამუშაო დროს შემცირებისა, მუშაობის დროს და არა მუშაობის გათავების შემდეგ, ჯამაგირების დარიგებისა, ჯარიმებისა და მუშათა გაჩხრეკის მოსპობისა, ხელფასის მომატებისა და მუშათა საცხოვრებელ ბინების გაუმჯობესების შესახებ (პ. ს.).

**დვინსკი,** 6 მარტი. ადგილობრივ მასწავლებელთა მთავრობამ გამოაცხადა: 7 მარტს ყველა სასწავლებელში სწავლა დაიწყება და ვინც ამ დღისთვის არ გამოცხადდება, დათხოვნილად ჩაითვლება (რ. ს.).

**ბელგრადი,** 5 მარტი. მიღებულ ცნობათა თანახმად, ამ გაზაფხულზე მაკედონიაში საქმე ძლიერ უნდა გამწვავდეს. გარეშე ორგანიზაციამ, რომელსაც გენერალი ცონჩევი მეთაურობს, შეაიარაღა 800 კაცი, რომელნიც მზად არიან აპრილში ბულგარიის საზღვარზე გადავიდნენ. ოსმალებიც იმის მზადებაში არიან, რომ მედგრად დაუხვდნენ და ყოველის საშუალებით საზღვარზე მისვალ-მოსვლა გზებს ამაგრებენ. სერბია ძლიერის ყურადღებით ეპყრობა შემოხიზნულებს, რომელნიც მრავლად შემოდიან. საზოგადო შიშიანობა ძლიერდება, განსაკუთრებით იმის გამო, რომ ბულგარელთა და ბერძენთა შორის მტრობა შური დღითიდღე იზრდება. (რ. ს.).

**პეტერბურგი,** 3 მარტი. ბაქოსა და ბაქოს გუბერნიაში მომხდარ ამბების გამოსაძიებლად დანიშნულ იქმნა სენატორებისაგან შემდგარი კომისია სენატორის კუზმინსკის თავმჯდომარეობით (პ. ს.).

**ანდიჟანი,** 5 მარტი. გუშინ საღამოს გუბერნატორი მარგელანს წავიდა. ყაზახები ჯერ კიდევ დარჩებიან აქ ორ დღეს, სანამ მაჰმადიანთა საეკლესიო დღესასწაული გათავდებოდეს. არეულობის მოხდენის შიში უსაფუძვლო გამოდგა. ქალაქში სიწყნარეა. (პ. ს.).

**ეკატერინბურგი,** 5 მარტი. წვრილის კრედიტის მოდავეთა კრება დაიწყო. მონაწილენი ბევრნი არიან.

**ფეცი,** 5 მარტი. (ჰავასი). საფრანგეთის ელჩმა დაამთავრა მაროკკოში რეფორმების შემოღების პროგრამა. ეს რეფორმებია: მხედრობის მოწესრიგება, ფულის მოჭრის სისტემის გაუმჯობესობა, ნავთსადგურისა და სადამოჟნო მოხელეთა ყოფა-მდგომარეობის გაუმჯობესობა. რეფორმების შემოღების წინააღმდეგ ოპოზიცია სუსტდება (ჰ. ს.).

**სტამბოლი,** 5 მარტი. ხონთქარმა სადარბაზოდ მიიღო საფრანგეთისა და გერმანიის ელჩები (პ. ს.).

**ვილნო,** 5 მარტი. სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ დაადგინა, წარუდგინოს მინისტრთა კომიტეტს მოხსენება ჩრდილოეთ-დასავლეთ მხრის სასოფლო მეურნეობის საჭიროებათა შესახებ და სთხოვოს სამღვდელოებას, იქადაგოს და დასთრგუნოს ხალხის წამქეზებელნი, რომ გავლენა ვერ იქონიონ გულუბრყვილო მუშა ხალხზე. (პ. ს.).

## რუსეთ-იაპონიის ომი

### დეპეშები

(პეტერბურგის დეპ. სააგენტოს დეპეშები აღნიშნულია—პ. ს., რუსეთის სააგენტოსი—რ. ს.)

5 მარტი.

**ტოკიო.** 3 მარტი. ფინანსისტების კრებაზე მინისტრ-პრეზიდენტმა კაცურამ განაცხადა, რომ ჯერ არ შეიძლება მოველოდეთ ახლო მომავალში მშვიდობიანობის ჩამოგდებასო. რუსეთის დამარცხება—დიდი საქმეა, რომელიც მოითხოვს მთელი იაპონიის ერთობას. იმედი მაქვს, რომ ფინანსისტები დაეხმარებიან მთავრობას. ომის შედეგი იმაზე მეტი შეიქმნა, რასაც მოველოდით წინად. იაპონიამ რომ ომიანობა დაიწყო, ასე ეგონათ ჯოჯოხეთში ჩადისო. გადაწყვეტილი იმედი არ ჰქონდა, მაგრამ ხალხის ერთობამ შექმნა რამდენიმე გამარჯვება. კაცურამ გაახსენა რუსეთის მდგომარეობა, ფინანსიურ ძალით, ხალხის და ჯარის რაოდენობით გვჯობნისო და ეხლა იძულებული ხდება მორიგება მოსთხოვოს იმ ერს, რომელსაც ყოველთვის არაფრად აგდებდა, აკაცურამ დაუმატა, რუსეთი ასე ადვილად ვერ მოახერხებსო ამ ბიჯის გადადგმას და ამიტომ უნდა მოვემზადოთ ომიანობის გაგრძობისათვის. ახალ სესხს ბევრ უცხოელსაც მოუწერია ხელი. (პ. ს.)

**პეკინი** 5 მარტი. რაკი იაპონელებმა ზედიზედ რამოდენიმეჯერ დაარღვიეს ჩინეთის ნეიტრალიტეტი, ამიტომ იუანშიკაის განკარგულებით შეწყვეტილ იქმნა მიმოსვლა რკინის გზაზე შანხაიგუანიდან და ინკოუდან სინმინტინამდის, მაგრამ ჩინეთის მთავრობას შეეშინდა, რომ იაპონელები ძალით ჩაიგდებენ ხელში ამ გზასო და ამიტომ ხელ-ახლად აღადგინა მიმოსვლა. მუკდენიდან სინმინტინამდე იაპონელების შემოსვლის შემდეგ მთელ მხარეს მოედო არეულობა. იაპონელები ხელს აფარებენ ხუნხუზების ძარცვა-დარბევას. სინმინტინში საჩქაროდ იგზავნება ჩინელ გენერალ მაიუ-კაიის მეთაურობით 8 ბატალიონი ჩინელი ჯარი არეულობის მოსასპობად. ჩინელები მეტად აფასებენ რუსების თავის დაჭერას მათთან და სიძულვილით იხსენიებენ იაპონელებს, რადგანაც იაპონელები სიკვდილით სჯიან ყველა ჩინელს, რომელსაც აღმოუჩნდება ხელში რუსული ფული. პევრმა ჩინელმა დასწვა რუსებისაგან მიღებული ფულები (პ. ს.).

**პარიზი,** 5 მარტი. ბარონმა სუემაცუმ განუცხადა „მატენის“ ლონდონელ კორესპონდენტს, რომ იაპონია არ მოითხოვს რუსების კუთვნილ ადგილების ჩამორთმევას და მხოლოდ ზოგიერთ ხარჯის და ზარალის დაბრუნებას მოსთხოვსო, თუ რუსეთმა ეხლავე ჩამოაგდო ლაპარაკი ზავზე, შემდეგ კი იაპონია, რომელსაც კიდევ დიდი ხნით შეუძლია ომიანობის გაგრძობა, ამას აღარ დასჯერდება და მოითხოვს ხარბინს, ვლადივოსტოკს და სახალინს. ტელინში ნამყოფი „მატენის“ თანამშრომელი ამბობს, რომ კაულბარსის ჯარში მეტად გაუკვირდათ, როდესაც უკან დახევის ბრძანება მიიღეს. რუსები იმ ბრძოლაში ჯერ არ იყვნენო დამარცხებული (პ. ს.).

**შანჰაი,** 5 მარტი. ჩინეთის იმპერატორმა დანიშნა ჩევერჩენი მანჯურიის ვიცე-მეფედ. ჩევერჩენმა ინახულა პეკინში იაპონიის ელჩი და დაუყონებლივ გაემგზავრა მუკდენში (რ. ს.).

(ღამის დეპეშები იხილე მე-2-ე გვერდზე)

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

**ომის ამბები.** ბრძოლის ველზე მუკდენის ბრძოლის შემდეგ ბევრი რამ მოხდა შესანიშნავი, მაგრამ არავითარი ცნობა არ მოდის. კუროპატკინი ორ-სამ დღეში ერთხელ შეგვატყობინებდა ხოლმე, ჩვენი ჯარი უკან მიდის, უკანა ჯარისგან კი ჯერ მოხსენება არ მომსვლიაო. ცხადი კია, რომ რუსეთის ჯარის არიერგარდი ცუდ დღეშია: ხან იქ წამოეწევიან იაპონელები, ხან იქა; ხან აქ დაატყვევებენ რუსების რაზმს, ხან იქა; ხან აქ ართმევენ სურსათსა და თოფ-იარაღს, ხან იქა. მაგრამ გამორკვეულს არაფერს იუწყებიან და, საქმის გარემოება დღესაც ბურუსით არის მოცული. გუშინ გენ. კუროპატკინი იუწყებოდა, ტელინის სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩვენი ჯარი იაპონელებს შეებრძოლა, მაგრამ უკუგდებულ იქმნა და მდინარე ლიაოხეს მოსახვევთან, სოფელ კაოლინძასთან დაბანაკდაო. გარდა ამისა კუროპატკინი იუწყება, 2 მარტს ხუნხუზებმა ქალაქი ფაკუმენი აიღესო (ფაკუმენი მონგოლიაშია, ტელინის დასავლეთით).

4 მარტს გენ. კუროპატკინმა მთავარსარდლობა გენ. ლინევიჩს ჩააბარა და პეტერბურგში წამოვიდა (რ.)

**რუსეთის გენერლის აზრი მუკდენის ბრძოლის შესახებ.** „ეკო დე პარი“-ს კორესპონდენტს ერთ რუს-ს გენერალთან ულაპარაკნია. გენერალს უთქვამს: მარშალმა ოიამამ გენ. კუროპატკინს ორივე მხრიდან მოუარა და რუსები ცუდ დღეში ჩააყენა. შეიძლება რაიმე სასწაული მოხდეს და რუსეთის მთელმა ჯარმა ამ ხაფანგს თავი დააღწიოს, მაგრამ უბედურებაც ის არის, რომ ბრძოლის დროს სასწაული არა ხდება. კუროპატკინმა მუკდენს, ფუშუნსა და ტელინს თავი დაანება, იმოდენა ადგილი, იარაღი, ტყვე და სურსათი იაპონელებს ჩაუგდო ხელში. მარშალმა ოიამამ რუსეთის იარაღს საშინელი სილა სტკიცა. მუკდენის დამარცხების შემდეგ რუსეთმა ჩინეთში და მთელ აზიაში გავლენა დაჰკარგა, სინმინტინიდან რუსეთის ჯარს სურსათი აღარ მიუვა და ფუშუნის ქვა-ნახშირის მადნებიც იაპონელებს დაუთმო, მაგრამ ყველაზე სასაშინლოება ის არის, რომ კუროპატკინს აუარებელი ჯარი ჰყავდა, 5 თვეს არაფერი გააკეთა და ისიც კი ვერ გაიგო, რომ გენ. ნოგის უშველებელი ლაშქარი უკანიდან მოექცა.

**ბრძოლა მუკდენთან.** „რუს. ვედ.“-ის სამხედრო მიმომხილველი ს-კ. სწერს: 24 თებერვალს ღამე გენ. კუროპატკინმა მდინარე ხუნხესა და მუკდენს თავი მიანება და ჩრდილოეთისაკენ წამოვიდა. მეორე დღეს იაპონელებმა მანჯურიის დედა ქალაქი აიღეს. ამ რიგად მთელ მსოფლიო ისტორიაში, უდიდესი ბრძოლა, რომელშიაც 850,000 კაცი იღებდა მონაწილეობას იაპონელების სასარგებლოთ გათავდა. 11 დღის განმავლობაში ორივე მხარეს დააკლდა დაახლოვებით 125,000; კაცი (ნამდვილად მეტი უნდა იყოს: რუსების ზარალი, ტყვეებიც რომ ჩავთვალოთ, 120.000-ზე ნაკლები არ იქნება. იაპონელებისა 45,000) ამ ბრძოლამ ახალ ისტორიის უდიდეს ბრძოლას—ლეიპციგისასაც გადააჭარბა (ლეიპციგის ბრძოლის დროს ორივე მოპირდაპირეს 113.000 კაცი დააკლდა მოკლული და დაჭრილი). იაპონელების ზარალი 45,000-მდე უნდა იყოს, ასე რომ იაპონელებს მუკდენის ბრძოლაც თითქმის იმდენადვე დაუჯდათ, რამდენადაც პორტ-არტურის აღება. მაგრამ რუსეთის ზარალი ორჯერ და სამჯერაც მეტი უნდა იყოს. გარდა ამისა, რუსეთის ჯარმა იაპონელებს დაუტოვა აუარებელი, ურიცხვი სურსათი, თოფ-იარაღი და სამხედრო მასალა, რომელიც ერთ წლის განმავლობაში შეაგროვეს მუკდენში. ამას ზარბაზნები და ტყვეებიც რომ მივუმატოთ, დავრწმუნდებით, რომ იაპონელებს რუსეთის ჯარი კი არ დაუმარცხებიათ, არამედ გაუნადგურებიათ. თუმცა მუკდენის ბრძოლა რუსეთის ჯარის სრულ დამარცხებით გათავდა, მაგრამ მარშალ ოიამას თავის გეგმა ჯერ არ დაუსრულებია და ამ დღეებში უნდა დასრულდეს სასტიკი ეპილოგი საშინელ დრამისა: იაპონელები გამოქცეულ რუსებს უნდა დაედევნონ და მუკდენის ბრძოლის შედეგიც აქ უნდა გამოჩნდეს. აი, ამ დადევნებაზე იქმნება დამოკიდებული ხუნხეს ნაპირებზე დაწყებულ უმაგალითო ბრძოლის სტრატეგიული შედეგი. ამიტომ მუკდენის ბრძოლის მნიშვნელობის შესახებ ლაპარაკი ჯერ ადრეა. მუკდენის ბრძოლის ბედი ისევ პორტ-არტურის გმირმა, გენ. ნოგიმ გადასწყვიტა. საკვირველი და გაუგებარია, როგორ მოახერხა მარშალმა ოიამამ და ორ დღეში როგორ მოიშველია ნოგის იმოდენა ჯარი. გენ. კუროკისა და ნოძუს ლაშქრებიდან იაპონელები არა ჩვეულებრივ სისწრაფით გაქანდნენ გენ. ნოგისკენ და ორ დღის შემდეგ მუკდენთან გაჩნდნენ. 23 და 24 თებერვალს გენ. ნოგის 200,000 კაცი ჰყავდა და 600 ზარბაზანი ჰქონდა. პორტ-არტურის დანგრევით დახელოვნებულმა გენ. ნოგის არტილერიამ მუკდენის სიმაგრეებსაც მალე მოუღო ბოლო და გენ. კუროპატკინის იერიშებს უფრო მედგარ და სასტიკ იერიშებით გასცა პასუხი. რუსეთის ჯარს ერთი უბედურება კიდევ დაატყდა თავს: აქამდის მარშალი ოიამა, ნოძუ, კუროკი და ოკუ აყენებდნენ ცუდ დღეს რუსეთის ჯარს, ეხლა კი ამათ ყველაზე უარესი სარდალი, გენერალი ნოგიც მიეშველა (რ. ვ.).

## დეპეშა

(სულთან კრიმ-გირეისაგან)

**საჯავახო,** 6 მარტი **გთხოვთ დაბეჭდოთ, რომ განზრახულია გენ. ალიხანოვ-ავარსკის რაზმი ოზურგეთში შევიდეს; მაგრამ ამან გურულები არ უნდა ააშფოთოს, რადგან ჯარი ოზურგეთში იმიტომ კი არ მიდის, ვითომ გურიაში ძალის მოხმარება უნდოდეს, არამედ იმიტომ, რომ ნატანებში ჯარი ანტისანიტარულ მდგომარეობაშია.**

(საკუთარის კორესპონდენტისაგან).

**საჯავახო,** 6 მარტი. **გენერალმა ალიხანოვმა სულთან კრიმ-გირეის შეატყობინა, განკარგულება მოვახდინე, რომ გურიაში მთავრობის მიერ დანიშნული ყველა მამასახლისი გადაყენებულ იქმნას სამსახურიდან და პრინციპიალურადაც თანახმა ვარ, რომ ყველა დაკეტილი ბიბლიოთეკა ხელახლად გაიღოსო.**

## ახალი ამბავი

✦მთავარმართებლის კანცელარიამ სთხოვა საგუბერნიო მმართველობას, წარმოგვიდგინეთ ცნობა, ამ წლის პირველ იანვრამდის ტფილისის გუბერნიაში **რამდენი ოჯახი დასახლდა**

რუსეთიდან გადმოსახლებული და საგუბერნიო მმართველობის დახმარება რაში გამოიხატოა.

✦ 4 მარტს ქალაქის გამგეობამ განიხილა **განცხადება ქალაქის ქუჩების ზედამხედველებისა**, რომლებიც სწერენ: 17 თებერვალს დილის 10 საათზე, როდესაც დესიმონოვის მოედანი დავასუფთავეთ, ქალაქის მუშები: რ. მელიქოვი, ხ. აკოფოვი, ა. და ოგ. სარქისოვები ჩაის დასალევად შევიდნენ ბაბაიანცის ყავახანაში. ამ დროს მოვიდა ორი პოლიციელი და მუშები რომ დაინახა, მივარდა და ცემა დაუწყო ორი მუშა ხელიდან დაუსხლტათ, დანარჩენებს კი ძალიან სცემესო. ეს მაგალითი პირველი არ არის, ბევრჯერ ასე უმიზეზოდ უცემიათ ქალაქის ქუჩის მუშებისთვის. ქალაქის გამგეობამ დაადგინა, სთხოვოს პოლიციმეისტერს დამნაშავენი პასუხის გებაში მისცეს.

✦ მთავრობის განკარგულებით, ამ წლის პირველ იანვრიდან **სოფლებში არსებული სამკურნალოები უნდა გადაეკეთებინათ საავადმყოფოებად**; ამის გამო მთავარმართებლის კანცელარია აუწყებს საგუბერნიო საექიმო განყოფილებას, რომ ამ საგნისათვის გადადებულია სახელმწიფო თანხიდან 400,000 მან. და საერო ფულიდან 30000 მანათამდის; ამასთანავე ტფილისის გუბერნატორს ეუწყა, შეგიძლიანთ საჭიროების დაგვარად ხსენებულ თანხიდან მოითხოვოთ როცა გინდათ და რამდენიც დაგჭირდეთო.

✦ ხალხის ჯანმრთელობის მზრუნველმა კომისიამ წარუდგინა ტფილისის ქალაქის მოურავს მოხსენება იმის შესახებ, რომ ტფილისში **საჭიროა აშენდეს სიფილიტიური საავადმყოფო ქალებისათვის და კაცებისათვისო**. კომისიის აზრით, საავადმყოფოში უნდა დაიდგას 100 საწოლი; კომისიას უკვე დაუმზადებინებია ბ-ნ ზურაბიანცისათვის საავადმყოფოს შენობის გეგმა. უფრო მოსახერხებლად საავადმყოფოსათვის უცვნიათ ქ-ნ სულხანოვის მამული სოლოლაკში.

✦ ზოგიერთმა ტფილისის ხელოსანმა მიმართა ხელოსანთა მამასახლისს და სთხოვა, დღეს ხელოსანი **მოწმობის გამოტანაში ხელოსანთა გამგეობაში დიდს ხარჯს იხდის**, ამიტომ მოახდინეთ კრება ყველა ამქართა ხელოსნებისა, რომ მათ განიხილონ ამ ხარჯის შემცირების კითხვაო.

✦ ამ ერთის წლის წინად ქალაქის გამგეობაში აღიძრა ლაპარაკი იმის შესახებ, რომ დაარსდეს **განსაკუთრებული სასამართლო ტფილისის საქმეებისათვის**. ამ სასამართლოს შენახვაში ქალაქის თვითმმართველობას უნდა მიეღო მონაწილეობა იმდენად, რამდენადაც ამას მთავრობა დაინახავდა საჭიროდ; ამის გამო საბჭოს ხმოსანი-ექძილები შეეკითხნენ გამგეობას, რა მდგომარეობაშია ეს საქმე და რა ზომები მიეღოთ საქმის დასაჩქარებლადო.

✦ როგორც გვატყობინებენ, შაბათს, 5 მარტს, სოფ. მუხრანში, მუხრანისა და ახლო-მახლო მდებარე სამის სოფლის მცხოვრებთ **გადაუწვავთ თივის ზვინები** თავ. ი. მუხრან-ბატონისა. ზარალი ას თუმანს აღემატება, მიზეზი დაწვისა და თვიანთი მოთხოვნილებანი გლეხებს გამოუცხადებიათ მაზრის უფროსის თავ. ჯანდიერისათვის. ტფილისის მაზრის უფროსი თავ. ჯანდიერი წასულა გორის მაზრაში იქაურ **გლეხობაში არეულობის მიზეზის გამოსაკვლევად**.

✦ **ის ჯარი**, რომელიც ბათუმიდან რიონამდის და სამტრედიიდან ფოთამდის იყო სადგურებსა და ლიანდაგზე დაყენებული რკინის გზის სადარაჯოდ, **დაბრუნებულ იქმნა თავის ბინაზე**. („ცნ. ფ.“).

✦ „ცნ. ფ.“-ს რედაქციის **აკაკის ფონდის სასარგებლოდ მუკდენიდან** მიუღია 1,000 მან.; ეს ფული ერთმანეთს შორის შეუგროვებიათ მუკდენში მცხოვრებ ქართველებს. ოთხმოცდაათი მანათი **შეუწირავთ ჩინელებს**: იან-იუს, ჯან-პოლინს, დიუ-ჯე-ლინსა და ხი-ვან-პოს.

✦ ტფილისის მეფაბრიკეებს, მექარხნეებსა და სამრეწველო დაწესებულებათა პატრონთ **განუზრახავთ მუშათათვის საავადმყოფოს დაარსება**. ამის თაობაზე კრებაც ჰქონიათ 4 მარტს ტფ. გუბერნიის საფაბრიკო-საქარხნო ინსპექტორის პისარენკოს თავმჯდომარეობით. საავადმყოფოში იქნება 50 საწოლი. ამ თავად საავადმყოფოს მოწყობას მოუნდება 7,000 მანათი და ყოველ-წლიურად 15,000 მან.; საავადმყოფოს გეგმა, კრებამ ერთხმად მოიწონა და ამოირჩია კომისია ამ საგნის დაწვრილებით შესამუშავებლად. კომისიაში აირჩიეს: გ. ადელხანოვი, ა. ახმეტიევი, მ. ბოზარჯიანცი, ა. ენფიანჯიანცი, გ. ვეტცელი, ვ. ელიაზაროვი, ა. ლიბერმანი და ა. მუხარინსკი.

✦ **გუშინ-წინ, 5 მარტს, ამიერ-კავკასიის რკინის გზის მმართველობამ** რკინის გზებზე მომუშავეებს დაურიგა **იმ ჯამაგირის ნახევარი**, რომელიც ეკუთვნოდათ სამი კვირის გაფიცვის განმავლობაში.

✦ წარსულ სეზონში **არტისტს ვლ. ალექსი-მესხიშვილს ქუთაისში ორმოცი წარმოდგენა გაუმართავს.** ექვსი პიესის გარდა, ბ-ნ მესხიშვილს სულ ახალი პიესები დაუდგამს.

## პრესსა

„ზაპადნი გოლოსი“ ამბობს:

„გალიციაში და პოზნანში საზოგადოება გაფაციცებით თვალ-ყურს ადევნებს რუსეთის ამბებსო.

პოლონელების მოძრაობას გარეშენი სხვადასხვა თვალით უყურებენ.

ზოგიერთი ამბობს, ამ მოძრაობას მხოლოდ სოციალური სარჩული აქვს, სხვები კი ამტკიცებენ, ეს მოქმედება ეროვნულ ნიადაგზე არის აღმოცენებულიო. პოლონეთის ერი ხედავს, რომ ამ გამწვავების დროს შეუძლიან თავის ეროვნულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება და ამნაირ მდგომარეობით კიდეც სარგებლობსო.

ხალხი ისე გაიტაცა ამ მოძრაობამ, რომ ხშირად თავსაც ვეღარ იკავებს და ახლავე უნდა მოიპოვოს ყოველივე უფლება, მაგრამ ცხადია, რომ სახელმწიფოში ასეთ ცვლილების შემოღება ადვილი არ არის. ამისთვის საჭიროა დრო და მეცადინეობა

ხალხის სურვილების აუსრულებლობა არ შეიძლება, მაგრამ ხალხი დინჯად უნდა ეცადოს „საწადელის მიღწევასა“.

ამიტომ გაზეთი ურჩევს პოლონელებს, აჯანყების გზას ნუ დაადგებითო.

გაზეთი უმატებს, რომ გალიციელ პოლონელების აზრით ახლანდელ დიდმნიშვნელოვან ხანაში მთელი პოლონეთის ერი უნდა შეერთდეს საერთო მიზნების მისაღწევად, ვინაიდან ძალების დაქსაქვა ეხლა სამშობლოს წინაშე ბოროტმოქმედებად ჩაითვლებაო.

—

იგივე გაზეთი გვაცნობებს პოლონელ მწერლის ჩესლავ იანკოვსკის აზრს «თანამედროვე მდგომარეობის შესახებ», — ეს წერილი დაბეჭდილი ყოფილა პოლონურ ჟურნალ „Tygodniku Illustrowanym“-ში.

„ვიღამაც სთქვა, ეს მდგომარეობა „განსაკუთრებული“ არისო. და ეს სახელი სავსებითაც შეეფერება.

მართლაც ასეა!

განსაკუთრებულია ეს ხანა იმიტომ, რომ დიდი ხნის ძილის შემდეგ ხალხმა გამოიღვიძა.

უწინდელ მდგომარეობას ბოლო მოეღო, გათავდა ძილი!

ჩვენ შევეჩვიეთ ძილს, შევეჩვიეთ ამ სნეულებას...

დრო მიდიოდა...

უკეთესი მდგომარეობის მოლოდინში ზოგიერთი გაჰკლარავდა კიდეც და მაინც ეძინა ყველას, არავინ ცდილობდა ჩვენი საზოგადო ცხოვრება გაეჩაღებინა.

ამ ცხოვრების ალღო რომ ყველას გვაქვს და ყველასაც გვინდა მონაწილეობა მივიღოთ ხალხის აღორძინების საქმეში.

ეს სურვილი ნერვებს გვიშლის, ღამე ძილს გვიფრთხობს, მოსვენებასაც არ გვაძლევს, — გვინდა ერის საკეთილდღეოდ გავაკეთოთ რამე...

და ვინ იქნება, რომ ახლა წინაღუდგეს ერის სურვილებს და უწინდელი ძალმომრეობა დაიწყოს იქ, სადაც თავისუფალი ეროვნული განვითარება უნდა იყოს!

გვეკითხება პოლონელი მწერალი.

პოლონური მეორე გაზეთი „Dziennik dla wsz“ ამბობს, გერმანია საომრად ემზადებაო, —

გერმანელებში კვირაში ერთხელ სათადარიგო ჯარის კაცებს იწვევენ, საზღვარ გარედ წასვლის ნებას არავის აღარ აძლევენო..

პოზნანში და ზემო სილეზიაში ვერ გაუგიათ ამ მომზადების მიზანი, — და არავინ იცის მთავრობა ვის საწინააღმდეგოდ აპირებს ომიანობას?

ემზადება საომრად ინგლისიც; მაგრამ, როგორც ეტყობა, გერმანია მხედრობას ინგლისის საწინააღმდეგოდ არ უნდა ამზადებდეს, — ინგლისთან ომი მხოლოდ ზღვაზე არის შესაძლო და გერმანელი მთავრობა კი უფრო ცხენოსან ჯარებს ამზადებს.

ეს კია, რომ განაპირა ქვეყნები გერმანიაში არ ემხრობიან მთავრობის სურვილებს და ამიტომ, საფიქრებელია, რომ ომის გამოცხადებაც საძნელო შეიქმნება: ეს განაპირა ადგილები ისარგებლებენ ომიანობით, აუჯანყდებიან გერმანელებს და თავისუფლებას მოითხოვენ.

## რუსეთი

**საყურადღებო მოხსენება შეუდგენიათ მოსკოვის საშუალო სასწავლებლების მასწავლებელთა.** „კვლავ ასე ცხოვრება შეუძლებელია“.. სთქვა რუსის საზოგადოებამ სხვადასხვა წარმომადგენელების პირით, სხვადასხვა ორგანიზაციების გარდაწყვეტილებით. ეს წარმოსთქვა ერობამ, ქალაქების საბჭომ, თავად-აზნაურთა კრებებმა, სამეცნიერო და განმანათლებელმა საზოგადოებებმა, სთქვეს სხვადასხვა დარგის სპეციალისტებმა, მექარხნეების საბჭომ, ბეჭდვითი სიტყვამ, პეტერბურგისა და სხვა ქალაქების მუშებმა.

ამ საერთო ხმას თავისი ხმა შეუერთეს პედაგოგებმაც, განსაკუთრებით კი უმაღლესი სასწავლებლების პროფესორებმა და მასწავლებლებმა. ნაკლები საბუთი არც საშუალო სკოლის მასწავლებლებსა გვაქს, რომ ჩვენც ის სიტყვები გავიმეოროთ, რაც დღეს მთელმა რუსეთმა წარმოსთქვა. დიდი ხანია, რაც საშუალო სკოლის ნაკლი აღიარებული და გათვალისწინებულია. გენერალ ვანოვსკის მინისტრობის დროს ხომ ეს ნაკლი სამეფო ტახტის-მიერ იქმნა აღნიშნული და გამოთქმული. მაგრამ ბიუროკრატიამ მაინც აისრულა საწადელი, საშუალო სკოლის რეფორმის საქმე თავის მოწონებულ გზაზე წაიყვანა და იმის მაგიერ, რომ დაპირებული, ნაბძანები ცვლილება მოეხდინა, სკოლა ძველებურ აუტანელ მდგომარეობაში დასტოვა და, შემცირების ნაცვლად, თავის კლანჭები უფრო მაგრად ჩაუჭირა: მასწავლებელი უფრო მეტად გაება ცირკულიარის ქსელში; ამ ქსელში გაბმულ ბავშვს პურის ნაცვლად ქვას აწოდებს და, თუ თავის მოვალეობას პირნათლად მოეკიდა, მზად უნდა იყოს ყოველ წამს, რომ მას ხელს შეუშლიან და მოღვაწეობას მოაშორებენ. არას დროს არ ყოფილა გაბატონებული სკოლაში პოლიციური რეჟიმი ისე, როგორც ეხლა არის და არას დროს არ ყოფილან პედაგოგები პოლიციური მოვალეობით დატვირთულნი ისე, როგორც თანამედროვე სკოლაშია. აი, როგორ შეასრულა ბიუროკრატიამ დაპირებული რეფორმა და ნურც ექნება იმედი სკოლას, რომ მახლობელ მომავალში რამეს ეღირსოს, რადგანაც 12 დეკემბრის უკაზით სკოლის რეფორმა ნაჩვენები და განზრახული არ არის; უკაზის აზრით ეს საკითხი ჯერ არ მომწიფებულა და ხალხს აუცილებელ მოთხოვნილებად არ გადაქცევია.

ასე სიცოცხლე კვლავ შეუძლებელია... ჩვენ საშუალო სკოლის მასწავლებლებს აღარ ძალგვიძს ავიტანოთ სკოლაში გამეფებული პოლიციური და ბიუროკრატიული წეს რიგი.

თავისუფალ სწავლისა და პირად უფლებების მონატრულებს აღარ შეგვიძლიან ვზარდოთ ახალი თაობა, რომელსაც იგივე უუფლებობდა და რეჟიმის ყმობა მოელის.

უმაღლესმა სკოლამ უკვე გასცა პასუხი ბიუროკრატიის მუქარას. აღარც ჩვენ შეგვეფერის სიჩუმე, არ შეგვეფერის ახლა, როცა ჩვენი აღზრდილი შვილების სისხლი იღვრება შორეულ აღმოსავლეთში, იღვრება რუსის ქალაქების ქუჩებზე და როცა მთელი რუსეთი ახალ ცხოვრების მოლოდინშია. საშუალო სკოლის მასწავლებლებიც იმას თხოულობენ, რასაც ყველა ელის დღეს: ერის მონაწილეობას სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში („პრავო“).

**პეტერბურგში ვარშავიდან მისულა პოლონელების დეპუტაცია**, რომელსაც თან პეტიცია მიუტანია. ამ პეტიციაზე ხელი უწერია ოცდაათი-ათასს მშობელს, რომელნიც თხოულობენ პოლონეთის საშუალო სასწავლებლებში სწავლა მხოლოდ პოლონურ ენაზე სწარმოებდესო (კიევ.).

**პეტერბურგის ერთ-ერთ ბოქაულს** მოუწვევია პოლიციაში სამი **მუშა-დეპუტატი**: ისტრებოვი 1, ისტრებოვი 2 და ბუტინი და **სრულებით უმიზეზოდ უცემია**; თან დასცინოდა თურმე, აი თქვე დეპუტატებო, უსვინდისოებო და სხვ. წინა დღეს იმავე ბოქაულს დაებარებინა ისტრებოვი და ეცემნა და გულანძღა: მუშების უმთავრესი დეპუტატი ხარო (რუს.).

**ფეოდოსიაში, 7 თებერვალს, ებრაელები კიდევ აუკლიათ.** იმ დღეს 500—მდის მუშა გაფიცულა, მათ შორის ებრაელი მხოლოდ 30% ყოფილა. მუშები თავის საქმეზე ლაპარაკობენ, რომ ამ დროს მას ბრძანება: „სცემეჟურიებს“ და ამასთან ერთად გამოცვენილა ბრბო ნაძირალთა, დასცემია ებრაელებს და შვიდ და უდახალხისათვის თავ-პირი დაუმტვრევია; მიუნგრმოუნგრევიათ ებრაელის სახლები; დაულეწიათ დუქნები და მცხოვრებლები დაურბევიათ.

(ხ. უ.).

## უცხოეთი

**საფრანგეთი.** თურმე ძლიერ დიდი შიში ჰქონია პარიზის სენატს სოციალიზმის მოძლიერებისა, რაიც ნათლად გამოჩნდა უკანასკნელ კრებაზე. შინაგან საქმეთა მინისტრმა ეტიენმა ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა სენატორთა წინაშე იმის შესახებ, თუ რამდენად სასარგებლოა და აწინდელ დროის შესაფერიც ქალაქებში მუნიციპალიზაციის გაფართოვება და გაძლიერება, ე. ი. საქალაქო მეურნეობის (ტრამვაის, წყლის აყვანის განათებისა და სხვ.), რომელიც უმეტეს შემთხვევაში კერძო ამხანაგობების ხელშია, — ქალაქის საკუთრებად გარდაქცევაო. მინისტრმა დაწვრილებით მოახსენა სენატს, თუ რა დიდ შემოსავალს აძლევენ თავის პატრონებს გაზის გამკეთებელთა ქარხნები. სამართლიანობა მოითხოვს, სთქვა მინისტრმა, რომ ეს კერძო კამპანიების წარმოება, რომელიც მცხოვრებლებს ამდენ მილიონს ართმევს ყოველ წლიურად, ქალაქის საკუთრებად და საქმედ გავხადოთ, პარიზის თვით-მართველობას ჩავუგდოთ ხილშიო. სენატისაგან ასეთი შუამდგომლობა მინისტრისა, — კერძო საქმე და საკუთრება საზოგადოდ გავხადოთო, — სოციალისტურ მიმართულების ნიშნად იყო მიჩნეული და ამიტომ უარ-ყოფილია. ამან, რაღა თქმა უნდა, დიდად შეაწუხა რადიკალური წრეები პარლამენტში, სადაც ისევე იჩინა თავი დიდი ხნის სურვილმა, რომ მოისპოს ეს ტორმოზი, რომელიც ამდენად აძნელებს ცხოვრებას. 1875 წლის კონსტიტუციის გადაშინჯვის სურვილმა ხელ-ახლად იჩინა თავი პროგრესიულ წრეებში.

**არაბეთი.** ამას წინედ პარიზში ახალი წიგნი გამოსულა «La réveil de la nation arabe», რომლის ავტორი განათლებული არაბი ნეჯიბაზურ-ეია. წიგნს გარე კანზე შემდეგი სიტყვები აწერია: „არაბებით დასახლებული ქვეყანა არაბებისა უნდა იყოს, ოსმალეთით — ოსმალებისა, სომხებით — სომხებისა; ქურდისტანი ქურთებისა უნდა იყოს, ალბანია — ალბანელებისა“. აზურ-ბეი თავის წიგნში ამტკიცებს, ოსმალეთს დღეს თუ ხვალ ბოლო მოეღება მისი გამობრუნება ყოვლად შეუძლებელიაო. პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრება იმდენადაა დაცემული და მოშლილი, რომ საჭიროა მხოლოდ ერთი რამე — უბრალო შეთხვევა, და მთელი შენობა მთლად დაინგრევა და დანაწილდება პატარ-პატარა სახელმწიფოებად. სომხების მაგალითმა ყველა გამოაფხიზლა, ყოველი ერი თვით-ცნობიერებაში შევიდა. აქამდის ოსმალეთის პოლიცია და მთავრობა თურქებს აქეზებდა სომხების ასაკლებად, ახლა-კი ეს ყოვლად ჩამორჩენილი ერიც-კი მიუხვდა, რომ მისი მტერი ხალხი არ არის, ის უნდა ებრძოლოს მხოლოდ ყოვლის მჩაგვრელსა და გამხეცებულს მთავრობას. მეშვიდე თვეა, რაც არაბები ოსმალოს ჯარს ებრძვიან იემენში და ამან დაგვარწმუნა, რომ ოსმალებთან ომი ძნელი არ არის და რომ ჩვენს ნატვრას საიმედო მერმისი მოელის, — არაბეთი შესძლებს და თავს დააღწევს მტარვალ ოსმალეთს. ამ ბრძოლაში სარწმუნოებას საქმე არა აქვს: არაბები — მაჰმადიანები და არაბები — ქრისტიანები ყველანი ერთად და ძმურად ვებრძვით საერთო მტერსო. ამ ბოლო დროს არაბთა კომიტეტებს საერთო კავშირიც დაუწესებიათ სომეხ რევოლუციონერთა კომიტეტებთან ერთად და მათ მიემხრნენ ქურთების შეიხებიც.

## ღამის დეპეშები

(პეტერბურგის და რუსეთის დეპეშათა სააგენტოებისაგან).

5 მარტი.

**პეტერბურგი.** უმაღლესი ბრძანება უმართებელეს სენატს: შორეულ-აღმოსავლეთში გასაგზავნ ჯარების შესავსებლად, როგორც ომიანობის დრო მოითხოვს, ებრძანეთ: საჩქაროდ გამოიყვანონ საჭირო რიცხვი ცხენებისა ოდესის, ვარშავისა და მოსკოვის სამხედრო ოლქებიდან, როგორც მობილიზაციის წესი მოითხოვს.

**ბერლინი**, 5 მარტი. „ბერლ. ტაგებლატის“ კორესპონდენტს გაუგია, რომ ამერიკელ მეთევზეების საზოგადოებათა სინდიკატს იაპონიისათვის აღუთქვამს ომის გასაგრძელებლად საჭირო თანხა იმ პირობით, რომ იმას დაეთმოს აღმოსავლეთაზიის ნაპირი და კომანდორის კუნძულები, თუ თუ რომ იგინი იაპონიას დარჩება.

**პეტერბურგი.** უქვეშევრდომილესი მოხსენება გენერალ-ლეიტენანტისა ლინევიჩისა: იაპონელების ბატარეები 4 მარტს ჩვენს რაზმს ესროდნენ ტავანტუგიდან და იანპუს ხეობებში. მტერი კოტაიძისთანაც გამოჩნდა. ქალაქი ფაკუმინი მტრის მხედრობამ დაიჭირა. დღეს ლაშქრები თანდათან გროვდებიან.

**ლონდონი**, 4 მარტი. იაპონიის საელჩო იუწყება, რომ 3 მარტს იაპონელების რაზმმა ხუნხეს მარჯვენა ნაპირს რუსის 8 ესკადრონი და მძიმე არტილერია გაფანტა და ტელინის ჩრდილოეთად მაღლობი დაიჭირა, ხუნხეს მარჯვენა მხარეს, საიდანაც უკუ-მიმავალ რუსებს ყუმბარები დაუშინა.

**ტოკიო**, 6 მარტი. ტყვეების სიტყვით, 4 მარტს, ტელინიდან სამხრეთად, რუსებს ჰყოლიათ იაპონელების წინააღმდეგ სამი დივიზია. 2 მარტს, ტელინის მიდამოებში თვით კუროპატკინი სარდლობდა.

**ტიანძინი**, 6 მარტი. ჩინეთის პოლიცია ტიანძიში იაპონელების კონტროლს დაუმორჩილდა.

**პეკინი**, 6 მარტი. ზღვის მონაპირე პროვინციების ვიცე-კოროლებს იმპერატორის ბძანება გაეგზავნათ იმის შესახებ, თუ რა საფრთხილო ღონისძიება უნდა მიიღონ, ვინიცობაა, როჟდესტვენსკის ესკადრა ჩინეთის სამფლობელოსთან გაჩნდა.

**მოსკოვი**, 5 მარტი. საერობო გამგეობას დეპეშით აცნობებენ, ერობის სასანიტარო დასები ტელინიდან მშვიდობით წამოვიდნენო დიდძალი ქონება კი დაეღუპათ.

**იაროსლავი**, 6 მარტი. გუბერნიის საერობო გამგეობას დეპეშა მოუვიდა, ერობის დასი ხარბინს მოვიდა, 27 თებერვალს ტელინიდან გამოსული. ყველა ავადმყოფები წამოიყვანა. ქონების ნაწილი ურმებით გამოზიდეს. მიატოვეს აფთიაქი მებელი და კარავებიც.

**ვლადივოსტოკი**, 6 მარტი. ტაძარში სადღესასწაულო პარაკლისი გადიხადეს მეფის, ჯარისა და ფლოტის დღეგრძელობისთვის. კომენდანტმა მეციხოვნეთ ხელმწიფე იმპერატორის უმაღლესი სიტყვები წაუკითხა. „ურას“ ძახილი და მუსიკის ხმა შორს გაისმოდა.

**სტამბოლი**, 5 მარტი. ხონთქარმა საფრანგეთის ელჩი აუდიენციაზე მიიღო. სესხს გერმანია ეწინააღმდეგება. ოტომანის ბანკს იმედი აქვს სესხის განაღდებისა საფრანგეთში. — სამხედრო მინისტრი სცდილობს იტალიელების გემი დაიქირაოს და ჯარი გაგზავნოს იემენს. ქმილ-ბეი, კამერგერი, ინგლისის საელჩოში დაიმალა, ხოლო იილდიზმა ეს საქმე გამოაწყო.

**პეტერბურგი.** ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება მიანდოს სენატორ კუზმინსკის ქალაქ ბაქოსი და მის გუბერნიის რევიზია.

**ნიუ-იორკი**, 5 მარტი. სახელმწიფო მდივანს ბეის, როდესაც „კორეტიკ“ გემზე ადიოდა, საშინელი გულის ფრიალი დაემართა. ექიმების სიტყვით, საშიშ მდგომარეობაშია.

**კაზანი**. 6 მარტი. „ფრანც“-ის ნომრებში პოლიციამ უცნობი კაცი დააპატიმრა, რომელიც ექიმობას ჩემობდა და სხვადასხვა ბანკებში ბაქოში მომხდარ ჟლეტის დროს დაკარგულს და მოპარულს სარგებლიან ქაღალდებსა და აქციებს ასაღებდა. პოლიცია რომ მივიდა, ცრუ-ექიმმა კარი ჩაიკეტა და პოლიციელს რევოლვერი ესროლა. პოლიციამ ცეცხლის მქრობელი მილი დაიბარა და უცნობს წყალი მიუშვა. მაშინ უცნობმა თავის მოკვლა განიზრახა, რევოლვერი დაიცა, მაგრამ მხოლოდ დაიჭრა. იმას უპოვნეს 200000 მანათამდე ღირებული ქაღალდები.

**მოსკოვი**, 6 მარტი. «სევ. ზაპ. კრაი» იუწყება, მეშვიდე მსოფლიო კრება „სიონისტების“ ბაზელში მოხდება ამ წლის ივნისში. — 8 მარტს საგუბერნიო საბჭო კვლავ შეუდგება გლეხთა შესახებ კანონების განხილვას.

**კიევი**, 5 მარტი. საბჭოს კრებაზე 3 და 4 მარტს დიდძალი ხალხი შეიყარა, მათ შორის სტუდენტები და მოსწავლეებიც იყვნენ, უმთავრესად ებრაელნი. დარბაზში ხალხი არ ეტეოდა და კიბეც გაჭედილი იყო. ბჭობა უნდა ყოფილიყო წარმომადგენელთა არჩევის შესახებ პეტერბურგში გასაგზავნად. ხალხი არ დაწყნარდა, ქალაქის მოურავს ლანძღავდა, უყვიროდა და უსტვენდა. მოურავმა კრება შესწყვიტა და ხალხის განდევნა მოითხოვა.

**შანჰაი**, 5 მარტი. იაპონიის ბანკის კრებას მსჯელობა ჰქონდა იმის შესახებ, რომ სეულის განყოფილების ოპერაციების გასაძლიერებლად 10 მილიონი იენა გადიდოს, რათა კორეაში მდიდარი ბანკი მოქმედებდესო. — სეულ-გენზანის რკინის გზის გამოკვლევა გათავდა და მუშაობასაც შეუდგნენ. სეულ-ფუზანის ტუნელი აპრილში გათავდება და მიმოსვლაც მაშინ დაიწყება.

**ადენი**, 5 მარტი. ქალაქსანს, რომელშიაც 5,000 ოსმალთა ჯარია, არაბებმა ალყა შემოარტყეს, ამბობენ, ქალაქი უკვე აიღესო.

**მოსკოვი**, მარტი. მაღალ სასწავლებელთა წარმომადგენლების კრება გადასწყვეტს, შესაძლოა მალე დაიწყოს სწავლა თუ არა.

**ბათუმი**, 6 მარტი. ორის თვით შეჩერებული „ჩერნომორსკი ვესტნიკი“ ახალმა რედაქციამ გამოსცა.

დროებითი რედაქტორი ფ. **გოგიჩაიშვილი.**
გამომცემელი ალ. **სარაჯიშვილი.**

## გამოსადეგი ცნობანი

### მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში — ტფილისისა).

**ა) ტფილისიდან მიდის:**

**ბაქოს**: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) საღამოს 5 ს. 21 წ. (6 ს. 19 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 44 წ. (8 ს. 42 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.).

**ბათუმს**: 1) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 20 წ. (5 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

**ერევანსა და ყარსს**: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 55 წ. (12 ს. 53 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 დილის 10 ს. (10 ს. 58 წ.).

**ბორჯომს**: 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

**ტფილისში მოდის:**

**ბაქოდან**: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 26 წ. (3 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 3) ნაშუადღევის 3 ს. 03 წ. (4 ს. 01 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 56 წ. (6 ს. 54 წ.); 4 საქონ.-სამგზავრო № 17 ღამის 11 ს. 38 წ. (12 ს. 36 წ.).

**ბათუმიდან**: 1) საფოსტო № 4 საღამოს 4 ს. 56 წ. (5 ს. 54 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 01 წ. (7 ს. 59 წ.).

**ერევან-ყარსიდან**: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 35 წ. (6 ს. 33 წ); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

**ბორჯომიდან**: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

**ბ) ბაქოდან გამოდის:**

**ტფილის-ბათუმისაკენ**: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუადღევის 1 ს. 15 წ. (2 ს. 13 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 52 წ. (8 ს. 50 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.); 4) საქ.-სამგზ. დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.).

**გ) ბათუმიდან გამოდის:**

6 **ბაქო-ტფილისისაკენ**: 1) საფოსტო № 4 დილის 4 ს. 36 წ. (5 ს. 34 წ.); 2) სამგზავრო № 1 საღამოს 6 ს. 05 წ. (7 ს. 03 წ.).

**დ) ქუთაისიდან გამოდის:**

1) სამგზავრო № 51 ღამის 12 ს. 50 წ. (1 ს. 03 წ.); 2) სამგზავრო № 53 დილის 8 ს. 25 წ. (9 ს. 23 წ.); 3) სამგზავრო № 55 ნაშუადღევის 2 ს. 20 წ. 3 ს. 18 წ.; 4) სამგზავრო № 57 საღამოს ს. 206 წ. (7 ს. 18 წ.)

### სახალხო ბიბლიოთეკები

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“

ტფილისში:

1. სასახლის ქუჩაზე, თავად-აზნაურობის ქარვასლაში,
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. 5—7 „
კვირა-უქმე—დილით 11—1 „
2. ნაძალადევში, ვოდოპროვოდის ქუჩა, № 113.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. 5—9 „
3. ოლგას ქუჩაზე, სახლი № 19.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. „ 5—8

### საავადმყოფოები:

**ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო,** მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მ., ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

**ქალაქის სამკურნალო.** მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიპოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაც და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

**ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:**

**ავლაბრისა.** კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი იგიტიანცი.

**კუკიისა.** ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი კ. გლელიშვილი.

**ხარფუხისა.** ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი ტატეოსიანცი.

**დიდუბის განყოფილება.** ექ. შჩერბინა.

**თვალის სამკურნალო.** კრილოვის ქუჩა, ველიკოკნიაჟეს კის ქუჩის კუთხე. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე პუტიატა.

**ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის,** უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

**სიფლისის ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო** იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

**გადამდებ სენით ავადმყოფთათვის** უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქ 1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელქიანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

## განცხადებანი

ახლად გახსნილი
ელექტრონით მბეჭდავი ამხანაგობა
„შრომა“
(ფრეილინის ქუჩა, სახელმწიფო ბანკის გვერდით)
იღებს ყოველგვარ საბეჭდავსა და საკაზმავს საქმეებს, რუსულ, ქართულ, სომხურ და ფრანგულ ენებზე და ასრულებს ძლიერ სუფთად და თავის დროზე, ყველასათვის ხელ-მისაწვდენ ფასებში,

საყმაწვილო ჟურნალი
„ნაკადული“
სურათებით
გამოდის მცირე-წლოვან და მოზრდილ ყრმათათვის
თვეში სამი წიგნი: ორი მცირე-წლოვანთათვის და ერთი—მოზრდილთათვის, პედაგოგიურ ფურცლის დამატებით.
წელიწადი იანგარიშება 1 ნოემბრიდან 1 ნოემბრამდე.
ჟურნალის ფასი: ერთად ორივე გამოცემა ღირს წელიწადში 5 მან., ცალ-ცალკე 3 მან., ნახევრის წლით ორივე გამოცემა 2 მან. 50 კაპ.; ხელის მომწერს შეუძლიან თვეში თითო მანეთიც შემოიტანოს. ფასი თითო ნომრისა: მოზრდილთა ჟურნალი—25 კაპ., მცირე-წლოვან ყრმათა—15 კ.
რედაქცია იმყოფება ალექსანდრის ქუჩ., № 5. სახლი პოპოვისა, სადგომი მარიამ ივანეს ასულის დემურიასი.
ხელის მოწერა მიიღება: რედაქციაში, „წერა-კითხვის გამომც. საზოგადოების“ კანცელარიაში და ჟურნალის აგენტებთან.
ფოსტას ადრესი.
Тифлисъ, редакція журнала „НАКАДУЛИ“.

Дозволено цензурою, Тифлисъ, 6 марта 1905 г.

ელექტრონითმბეჭდავი ამხანაგობა „შრომა“